შ.პ.ს საექსპერტო- აუდიტორული ფირმა "არალკ"

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ
გაცემული სერტიფიკატი ზ №5/517 გაცემულია /14.05.2011წ./
მისამართი ქ. ხობი კოსტავას ქ. №4 ტელ: 574700330
სს ლიბერთი ბანკი ხობის ფილიალი კოდი 220101465 ანგ. № GE20LB0610006534020223

№ 3

12 იანვარი 2017 წელი

## *აუდიტორული დასკვნა ქონების შეფასებაზე*

შ.პ.ს საექსპერტო აუდიტორული ფირმა "არალკ"-ის აუდიტორის კლარა ქადარიას მიერ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ მაია შუშანიას მ/წლის 11 იანვრის მომართვა №MES81700016202-ის და ურთიერთდადებული ხელშეკრულების საფუძველზე და წარმოდგენილი დოკუმენტების (შენობის სურათების) მიხედვით. დავათვალიერე სკოლის ბალანსზე რიცხული, საჯიჯაოს სკოლასთან შერწყმული ჯაპიშაქრის უბნის სკოლის საქვაბის დაზიანებული შენობის და საქვაბე მოწყობილობის ვარგისიანობის დადგენის მიზნით.

სკოლის საკადასტრო კოდი (45.12.22.019) ჯაპიშაქრის უბნის შერწყმული სკოლის საქვაბის შენობა აშენებულია 1974 წელს საკადასტრო გეგმაში 6X6 კვ.მ ზომისაა კედლები აშენებულია მცირე ზომის ბეტონის ბლოკით .გადახურულია ბეტონის ფილებით გარკვეულ უბნებზე დარღვეულია ფილების მთლიანობა, გაშიშვლებულია არმატურები, რომლებიც კოროზირებულია, ზოგიერთ ადგილებში ფილის დაყრდნობის სიდიდეები შემცირებულია, კედლის სტრუქტურის დარღვევის გამო და არსებობს უეცარი ჩამოშლის რისკი. განივ მზიდ კედელში მთელს სიმაღლეზე წარმოქმნილია ვერტიკალური ბზარი სიდით 1.5 სმ-მდე ატმოსფერული ნალექების ინტენსიური ზემოქმედების გამო მასიურადაა დაშლილი კედლის წყობის სტრუქტურა, შეინიშნება როგორც წყობის, ასევე ზედაპირების გამოქარვის, გამოტუტვის და ეროზიის ინტენსიური კერები .

**დასკვნა**

მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიზანშეწონილია საქვაბის შენობის მთლიანი დემონტაჟის განხორციელება

დემონტაჟის შედეგად შესაძლებელია მიღებულ იქნას:

1. მეორადი სამშენებლო მასალა –ბლოკი 100 ცალი, რომლის საბაზრო ღირებულება 50 ლარი.
2. რკინის მილი დიამეტრით 500მმ -10მ გრძივი მეტრი, რომელიც წარმოადგენს შავი ლითონის ჯართს. მისი სავარაუდო წონაა 300 კგ. საბაზრო ღირებულებაა 75 ლარი. სულ 125 ლარი, დემონტაჟის ხარჯები შეადგენს 50 ლარს.

აუდიტორ-დირექტორი: /კ. ქადარია/